

72
988



თბილისი — ბათუმი

1988 წ. ივნისი № 6

ბავშვი

ბავშვთა პირველი ივნისი დღეა დაცვის დღეა

რა ლამაზი დღეა

გივი ქველავაძე

რა ლამაზი მზეა!
რა ლამაზი მზეა!
მივესალმეთ, ჩამოვარტყათ სელი;
ვეკლაფერი ბრწყინავს,
ვეკლაფერი ელავს,
ვეკლაფერი სიხარულით ძღერის!..
აფრენილა,
დაფრენილა,
ჩემი მტრედი გაფრენილა,
შენი მტრედი შესვედრია გზაში...
გადაფრინდი ჩემო მტრედო,
სიტყვა უთხარ საიმედო,
თუ სადმეა მოწყენილი ბავშვი!..
რა ლამაზი დღეა!
რა ლამაზი დღეა! —
ოქროს წვალში ლივლივებენ ხენი;
ეური უგდეთ, ეური —
ზაწაწინა გული
სალხინოს და სამშვიდობოს ძღერის!..
აფრენილა,
დაფრენილა,
ჩემი მტრედი გაფრენილა,
შენი მტრედი შესვედრია გზაში...
იფართქალე თეთრო მტრედო,
გახსარე ჩვენი ერდო,
იღუღუნე ავღარში და დაბში!..

ვინ არის კარგი ქართველი

ზუია ჩხატიანი

ვისაც გული აქვს ნათელი,
 ფიქრიც,
 სურვილიც,
 მიზანიც,
 აი ის არის ქართველი,
 მამულიშვილი ის არის!

ვინც ცდის შკლავსა და გონებას,
 როცა ჯამი აქვს ცდისანი,
 ზიონს არ შეიწცხვენს სწორებთან,
 ისე იშრომებს,
 ისწავლის,
 წიგნებს ჩასცქერის ხალისით,
 უგვარს ქართული სტრიქონი,
 იცის, რად გუტკივა კრწანისი,
 იცის, რად გვიღირს დიდგორი!
 ან თვალს რას იფუშნეტს ბაღლივით
 რიქრაქსე ია კეთილი,
 დედის ცრემლებად დაღვრილი,
 ევაზილად ამოხეთქილი.
 გულს მისცემს — საქმემ ითხოვოს,
 ერის ღირსების დანტურად,
 ცდილობს, ნამუსით იცნოვროს,
 ქართულად,
 მამანაწურად!

18.704



ლექსი მეგობრობას და გუვიდობაზე

ლია ასათიანი

ზატარებო, თქვენც დიდები
 უნდა განდეთ ძაღვ.
 და ამიტომ ჩემი სიტყვა
 დაისხომეთ ბარემ.
 ამ ჩვენს მზიან ქვეყანაში
 მრავალ კარგთან ერთად
 შეიძლება ცუდიც შეგვხვდეთ,
 შეებრძოლეთ მედგრად;
 ახლა, როცა მშვიდობის და
 მეგობრობის დროა,
 ბეჯით სწავლას, გამრჯე შრომას
 სულ სიკეთე მოაქვს.
 საჭიროა ეველა, ეველა —
 მოზრდილი თუ ბავშვი —
 დღეს ერთმანეთს სიყვარულით
 ამოვუდგეთ მხარში
 და ისეთი მხიარული
 სიმღერები ვჭკქოთ,
 რომ შორეულ ვარსკვლავს მისწვდეს
 ჩვენი ხმების ექო.



ქვე. სსრ კ. მთავრობის
საბ. სს. ბეჭდვ.



ჩემი დაქვინა ძილს

დალილა ბაღინიძე

მსატკარი სოფიო კინწურაშვილი

ეს არ დახდინებდა უდროს დროს და, ერთხელ ძილსაც ჩაეძინა. ჩაეძინა, მაგრამ რა ჩაეძინა! გაღვიძებდა აღარ უნდოდა, ტკბილად ფშვინავდა და სულ ფერად-ფერად სიზმრებს ხედავდა. ეს რა კარგი ყოფილა ძილი! ძილს არ მეღიბსათ, — ფიქრობდა ძილში.

უნდა თქვას, რომ ძილს ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა — ყოველ საღამოს მთელ ქვეყანას უვლიდა, საით-თათოდ მიდიოდა ყველასთან და ყველაფერთან, და საით-თათოდ აძინებდა. ჯერ პატარა ბავშვებით იწყებდა. ეს ყველაზე უფრო ეძნელებოდა. პატარებს დაძინება არ სურდათ, ტიროდნენ და ჭირვეულობდნენ. ძილს სწყენდა — ძალიან ძნელია, იმასთან მიხვიდე, ვისაც არ უნდინარ, მაგრამ რას იზამ, თუ ძილი გქვია და თუ ბავშვების ძილს დროა! ისიც სათითაოდ ჩამოუვლიდა ყველა ბავშვს, ეყვებოდა, ღამა-ზ-ღამა-ზ სიზმრებს უწყობდა ბალიშქვეშ. ზოგჯერ კი მიზეზრდებოდა ხოლმე რომელიმე ჭირვეული ბავშვის ღლიდავი და ბავშვის ნაცვლად ბუბიაშის აძინებდა, მაგრამ როცა მიხვდა, ბავშვი მაინც უნდა დაგაძინო და ასე ორმაგი ჯაფა მადგებოდა, ბებიების დაძინებას თავი დაანება. ბავშვებს რომ მითვლიდა, მერე ცოტას შეისვენებდა და გზას განაგრძობდა. აძინებდა ხეებს, ყვავილებს, ქუჩებს, ბაღებში მდგარ სკამებს, აუზებს, შადრევნებს, თევზებს, სახლებს, ჩიტებს, ფოსიუბებს, მელაკულებს... ყველას, ყველას აძინებდა. ყველაზე ბილოს დედებს აძინებდა, ხოლო დედების შემდეგ — წყალს.

ძილი და მოხვეწება არ ჰქონდა საბრალო ძილს, დღისით თუ ღამით. ვახდა, გაიღია ამდენი აქეთ-იქით სირბილით, მაგრამ აბა, ვინ მიენმარებოდა! პოდა, დაეძინა! ყველაზე პირველად ბავშვები მიხვდნენ, რომ ძილს დაეძინა. სულ ვირაზე გადადიოდნენ საწოლებში, კოტრალობდნენ, იცინოდნენ. უფროებს კიდევაც გაეხარდათ, რომ ძილი ვეღარ მოერიოდა მათ. უკეთესიცაა, თუ არ დაეძინებთ, უფრო ბევრ რამეს მოვასწრებთო, თქვას. აღარც სახლებს დაეძინათ, აღარც ქუჩებს, აღარც თევზებს, აღარც ფოსიუბებს და მელაკულებს და აღარც არავის. იყვნენ ერთ აჟილ-ხივილსა და კრამიულში. მხოლოდ ერთი პატარა გოგონა იჯდა მოწყენილი.

— რატომ მოიწყენ? — გაუკვირდა მორე გოგონას, — არ ვახარია, რომ არ გვაძინებენ? სულ ასე ვითა-მასუბთ და ვითამასუბთ... ძილი არ მოვა, აღარც დილით დაგვიწყებენ ვალვიტებს, არ ვახარია?

— არა! — უპასუხა პატარა გოგონამ, — მე მინდა, ძილი მოვიდე.

— კი მაგრამ, რატომ? — გაუკვირდა ნიავს, რომელიც მათ უსმენდა.

— იმიტომ, რომ თუ ძილი არ მოვიდა, ვერ დავიძინებ. თუ ვერ დავიძინე, ვერც გავიღვიძებ, მე კი აუცილებლად უნდა გავიღვიძო. ჩემი მამიკო შორს წავიდა და ასე მიოხრა, მე მამწინ მოვალ, როცა ბევრჯერ გაღვიძებთ. მე კი ჯერ ერთხელაც არ გამიღვიძია! თუ არ

დავიძინე, როგორ გავიღვიძო და როგორ ვნახო ჩემი მამიკო? — აუხსნა პატარა გოგონამ და ატრიადა.

— მართალი ხარ! — ამოთხრა ნიაგმა — თუ არ და-
ძინებ, აბა, როგორ გაიღვიძებ!

— და როგორ ნახავ შენს მამიკოს? — თანაგრძნო-
ბით დაუმატა მეორე გოგონამ, — ძალიან მოვეწაბტრა?
— ჰკითხა მეგრ ჩუმადა.

— ძალიან მომწაბტრა! — უპასუხა გოგონამ, — იმი-
ტომ ვტბორ.

— კი მაგრამ, რა აუცილებელია, გაიღვიძო და მამის
მოვიძიო! — გაუკვირდა ნიაგს.

— დაიხანაც, აუცილებელია! — გაცხარდა მეორე გო-
გონა, — ერთხელ ჩემი მამიკოც წავიდა ძალიან შორს
და შუსტად ასე დამიბარა, როცა ბევრჯერ დაიძინებ
და ბევრჯერ გაიღვიძებ, მამის მოვალე. მეც ბევრჯერ
დავიძინე და როცა ბევრჯერ გაიღვიძე, ჩემი მამაც
მართლა მოვიდა.

— რა გაეწეობა, მამის ვთხოვოთ ძილს, რომ მოვი-
დეს! — თქვა ნიაგმა, — ოღონდ ნუ იტბორებთ! როცა ტი-
ბინარ, ძილე არ მოდის.

— მეგრ, როგორ ვთხოვოთ? — ჰკითხეს გოგონებ-
მა.

— მე წავალ და სხვა ბავშვებს ყველაფერს მოვუყვი-
ბი. თუ ყველა ერთად შეგხვდებით, ძილე აუცილებ-
ლად მოვა! — უთხრა ნიაგმა და გაჰქუსლა. ვინც კი
გზად შეხვდებოდა, ყველას უყვებოდა პატარა გოგონას
გასაჭირს. ერთ წუთში მოიბრინა ქუჩებიც, სახლებიც,
შადრევნებიც, ჩიტუნებიც, ფისუნიებიც... «პატარა გო-
გონამ უნდა ნახოს თავისი მამიკო, ისე როგორ შეიძლე-
ბა!» — თქვა ყველამ — «უნდა ვთხოვოთ ძილს, რომ
მოვიდეს». ისინი დასაძინებლად მოემზადნენ და ძილს
დაუძახეს: — ძილე, მოდი, ძილე! მოდი, ძილე, ჩვენ-
თან! მოდი, ძილე!

იმდენი უძახეს და ისე ძალიან უნდოდათ, რომ ძილე
მოსულიყო, ძილმაც გაიგონა და გაიღვიძა. წამოხტა
ლოგინიდან, თვალები მოიფშვინტა და დააყურადა.
«ძილე, მოდი, ძილე!» — უძახდა ყველა და ყველა-
ფერი.

— თქვენ არ იძახდით, ძილე არ მინდა! — წაიბუზ-
ღუნა ძილმა, — რამდენს მაწვავდებით ხოლმე!

— აღარ გაგაწვავდით, მოდი, ძილე, მოდი! —
უძახდნენ და უძახდნენ.

— რა ამბავია, აღარ დამაცლეთ, ჩაიეცვა? — სულ
დადაიბრა ძილე.

— ერთ პატარა გოგონას თავისი მამიკო მოენატრა.
მისი მამიკო შორს წავიდა და მამის მოვა, როცა გოგო-
ნა ბევრჯერ დაიძინებს და ბევრჯერ გაიღვიძებს. თუ
ვერ დაიძინა, აბა, როგორ გაიღვიძოს! როგორ ნახოს
თავისი მამიკო? ჩქარა დააძინე, რა, რომ ჩქარა გაიღვი-
ძოს და მალე ნახოს თავისი მამიკო! — შეეხვეწა ნიაგი.

ძილს ხმა აღარ ამოუღია, საყვედურებს თავი ანება
და მამისევე გაედევნა ნიაგს. დააძინა ქუჩები, დააძინა
სახლები, დააძინა შადრევნები, დააძინა დიდები, და-
აძინა ბავშვები. პატარა გოგონა კი ხელში აიყვანა,
გულში ჩაიკრა და ისე დააძინა, თან სულ მის სიზმრებს
უთვალთვალებდა, რომ იქ საწყენი ამბავი არ შეპარუ-
ლიყო და გოგონა უდროს დროს არ გაეღვიძებინა. მე-
რე ჩაიძინებული გოგონა ფრთხილად, ფრთხილად ჩა-
აწვინა ლოგინში და თავის გზაზე წავიდა. სანამ გო-
გონა ხელში ეჭირა, ძილე გრძნობდა, როგორ ქრებო-
და დაღლილობა, როგორ ივსებოდა ძაღლით, ხალისით,
სიხარულით.

აი, ახლა კი ვედარ მომერგვა ძილე! — გაიფიქრა
ძილმა, — აი, ახლა კი უდროს დროს არასოდეს ჩამეძი-
ნება.

ძილს მადლობა ვერავინ გადაუხადა. ყველას ეძინა,
ნიაგსაც კი.



ნეკოდენა

ტარიელ ჭანტაური

ნეკოდენა აბად

ბაბჰისდა



ავადა გუავეს ნეკოდენა,
 აქვს რეკიმი წოლითი,
 დღეს ექიმიც მობრძანდება, —
 თუითონ აიბოლიტი!
 მშვენიერი ფარშეკანგი
 ზეანრეხილ ბოლოთი,
 ვისი წამლით დადგა ფეხზე?
 — ექიმ აიბოლიტის!
 ვინ დათრგუნა, ჩემო ძმაო,
 ეველა სენი ბოროტი?
 — ვინ იყო და ცხოველები
 მსხნელი — აიბოლიტი!
 თუკი ვინმეს დვიძლი სტკივა
 ან აწუსებს კოლიტი,
 უნდა ადგეს, ბატონო, და
 ნახოს აიბოლიტი!
 ვისით მორჩა შეკარდენი —
 ცის მამაცი ზილოტი?
 — სამ დღეს ეჯდა სასთუმალთან
 ჩვენი აიბოლიტი!
 ვისით არის დღეს არწივი
 მტკიცე, როგორც ფოლადი?
 — ორი კვირა მკურნალობდა
 მასაც აიბოლიტი!
 შენც მოგარჩენს, ნეკოდენა!
 განა უნდა იტირო!

უნდა ექიმს დაუჯერო,
 უნდა ოფლი იდინო!
 — მიტირია ერთხელ?
 აბა რა მატირებს!
 სირცხვილია სწორედ,
 საქმე გააჭირეთ!
 ნეკოდენა ბიჭი
 არასოდეს ტირის!
 როგორ, ნემსის გამო
 შეირცხვინოს ზირი?
 გადაულაზავს უცნებ
 გამოწერილ აბებს,
 თავის სიუოჩადის
 ევება მერე აბებს!
 — რატომ ტირი, მიტო?

— გამიდის და მიტომ!
 — რატომ ტირი, ჩიტომ?
 — გამიდის და მიტომ!
 ნეკოდენა ბიჭი
 არასოდეს ტირის!
 გახსნილი აქვს მუღამ
 ეურებაძე ზირი!
 სატირალი რა მძევს,
 ცრემლი რატომ ვღვარო,
 ზატარა ვარ თუმცა, —
 მამაკაცი ვარო!
 შენს ზირს თაფლი, ბიჭო,
 შაქარი და ჩირი!
 ნაღდი მამაკაცი
 არასოდეს ტირის!





შევე მოგონა ნეკოდენა

უკვე მოგონი, ნეკოდენა!
სახლში ჯდომას ასედა გიჯობს
ივარჯიშო, რომ კუნთები
გაიმჯგრო, კარგო ბიჭო!

ათი წუთია, ტილოთი
კუნთებს გულდაგულ იხეღს!
ისეა გახურებული,
არ ჩამორჩება დიხეღს!
ვარჯიშის შემდეგ საჩქაროდ
შეჭამს ეველსა და კისეღს
და გააქროლებს ზინიას!
— ბიჭო, ნუ იტყვ კისეღს!
აკითხებს ბებოს ძილის წინ
ნაცარქექიას ზღანარს,
და სიამოვნებისაგან
თვალეღს კნუტივით ნაბავს!
ხან წიქარასას მოისმენს,
ხან — ასფურცელას ამბავს,
და სიამოვნებისაგან
თვალეღს კნუტივით ნაბავს!
ვინაც ეოველდე ვარჯიშობს,
კუნთებს ტილოთი იხეღს,
გამოადგება ის ქალაქს,
გამოადგება ის ერს!
ვინც წიგნებს თვითონ კითხულობს
ან სხვას აკითხებს წიგნებს,
იმ ბიჭმა ასფურცელასაც
ბევრად აჯობოს იქნებ!



რა ძალადი ეოფიღა,
თურმე, ფუნქციონირი!
ტრამვაიში ქარი ქრის,
გაუწევა კულელი!
მთაწმინდაზე ასვიდე,
წუთი უნდა სულ ორი!
ეს რა სწრაფი ეოფიღა
ჩვენი ფუნქციონირი!
მართლად დიდებულია
ზღატოს გადასახედი!
როგორ დანატარავდენ
იმოდენა სახლეღი!
რა ჩიეღი მოჩანან
ჩვენი ცთამბეჯენეღი!
თითქო ეველგან ცხოვრობდენ
მხოლოდ ნეკოდენეღი!
თითქო მტკვარსაც უეცრად
შეუწევიტოს დინეღა,
თითქო მთელი ქალაქი
იქცა ნეკოდენეღად!
უცნაური რამ არის
მართლაც ფუნქციონირი!
ტრამვაით რომ ანრმანდე,
წუთი უნდა სულ ორი!



/ზღაპარი/

მიწო ზარნაძე

ერთ დიდ, გაუვალსა და უდაბურ ტყეში უამრავი ნადირი ბინადრობდა, რომელთა შორის კეთილიც ბევრი იყო და ბოროტიც, მაგრამ ყველას მანაც ერთი უფროსი ჰყავდა — ჭაუჭაყ-ლომი. ასე რომ, ჭაუჭაყ-ლომის სიტყვა ყველასათვის კანონი იყო.

ერთხელაც ვნახოთ, ერთ საბრალო ბაჭიას ტყეში გზა აებნა. ხან აქეთ ცვა გულაფანცქალებული, ხან იქით, მაგრამ ვერა და ველარ მიაგნო სახლს.

ბევრი ხეტიალის შემდეგ, სად იყო და სად არა, ბაჩუა დათვის გადაეყარა.

— ვინა ხარ და საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ბაჩუამ.

— მე ბაჭია მარწყვიჭამიას მეძახიან, მთელი ბავშვობა ობოლ-ობრად დავხეტები და თავსაც ჩემით ვირჩენო.

— მშობლები სადღა გყავსო! — შეიცხადა ბაჩუა დათვმა.

— წელიწადიც არ გასულა ჯერ, რაც იმ ვერაგმა მჭილა-ვეფხვმა შემიჭამაო.

— შენ როგორღა გადარჩიო.

— მარწყვის საკრეფად ვიყავ წასული, დავბრუნდი და ეს ამბავი დამხვდაო.

— ახლა სად ყოფილხარ, შე საცოდავო, — თათით ამოიმშრალა თვალზე მომდგარი ცრემლი ბაჩუამ.

— ახლაც მარწყვზე ვიყავი, გზა ამებნა და შინ ველარ მივსულვარო.

— ბინა დიდი გაქვსო? — დაინტერესდა ბაჩუა.

— იიჰ, დიდი კი არა!... ერთი ციცქნა ხვრელია, ჰერი იმას არ უვარგა და იატაკი, მაგრამ გარეთ ყოფნას მანაც ჯობსო.

ბაჩუა დათვი ერთ ხანს ჩაფიქრდა,

მერე კალთაში დაგროვილი ასკილი ორმოში ჩაყარა და ბაჭიას მიუბრუნდა:

— ნუ გეშინია, მე შენ ჭაუჭაყ-ლომთან ბარათს გავატან, მიუტანე და დანარჩენი თვითონ იცისო.

ბაჭია მარწყვიჭამიამ ბარათი გამოართვა, მადლობა გადაუხადა, და გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, უეცრად ჩირგვებიდან მელთა კუდიგრძელია არ გამოცუნცულდა! გადაუდგა ბაჭიას და ეკითხება:

— საით გაგიწევია, ჩემო საყვარელო ბიძაშვილო?

— ჭაუჭაყ-ლომთან მივიჩქარი, ბაჩუამ მაახლაო.

— შენ ჭაუჭაყ-ლომთანო! — გაუკვირდა მელთა კუდიგრძელიას, — განა ასეთი რა გაგჭირვებიაო.

— ლაპარაკის თვითაც აღარ მაქვს, ყველაფერი ამ ქალღმერთზე წერილაო, — და ბაჭიამ ბარათი გაუწოდა.

ბარათში ეწერა:



მხატვარი ბასო ხილაშვილი



მლიერთა შორის უძლიერესო და სვიანთა შორის უსვიანესო, მეფეო ჩვენი, დიდო ჯაყჯაყ-ლომო!

ამ ბარათის მომტანი ჩვენი დიდი მოკეთე და თავეანისმცემელია. ამას წინათ ობოლ-ობრად დაუგდია იმ თავეახულ მჯიდა-ვეფხვს. აი ბაჩუა დათვი არ ვიყო და სამძაყანოში თავი ვედარ გამო-ვეო, თუ არ უახანო, შესნ ერთულ ხალხს რომ მუსნავს. ახლა კი შიადე მოწაყლება, შეიბრალე და ბინა-სანოვაკით უსრუნველავ ეს კაჭირვებუ-ლი, ვითორც დაღვინადე შესნე მლოცველი.

შენი უერთგულესი ვეხირი ბაჩუა დათვი.

მელის კუდიგარძელია წამით ჩაფიქრ-და, შუბლზე თათი მიიღო და თქვა:

— ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩემი ბექედი რომ არ აზის? განა არ გითხრა ბაჩუა დათვმა, მე რომ მისი მდი-ვანი ვარ და ჩემთან უნდა მოსულყოფი ბექედის დასასმელად?! გამომყე ახლავე, შინ მივირბენ, ბექედს დავუსვამ და მერე წაიდეო.

რა ექნა ბაჭია მარწყვიჭამიას, გაჰყვა.

— განა არ შეგიაპატიებდი, ჩემო ძვირფასო, შინ, მაგრამ შვილებს გრიბი

აქვთ და მეშინია, შენც არ გადაგეღოსო — უთხრა მელიამ, როცა თავის სოროს მიადგა.

ასე იყო თუ ისე, ცოტახნის შემდეგ მე-ლია სოროდან გამოძვრა, ბაჭიას სხვა, დაჯ-ღაბნილი ქალადი შეაჩჩია, თვითონ კი ჯაყჯაყ-ლომისაკენ მოკურცხლა და ასე მი-მართა: დიდო მეფეო, ჩემმა ნათლიმამამ და თქვენმა უერთგულესმა ბაჩუამ უსტა-რი გიბოძათო, — და გაუწოდა.

ჯაყჯაყ-ლომმა გამოართვა ბარათი, გა-დაიკითხა და მერე მეჭურჭლეთუხუცესს უხმო, მელის კუდიგარძელიასათვის დიდი, თბილი ბინისა და სურსათ-სანოვაგის გა-ცემა დაავალა. მეჭურჭლეთუხუცესმა მე-ლია წაიყვანა და ყველაფერი ლომის ბრძა-ნებისამებრ შეუხსრულა.

სამსრობისა ბაჭია მარწყვიჭამიაც მო-ლასახლდა და ლომს ბარათი გაუწოდა.

— ეს რა არის, არაფერი აქ არ წერია, რალც ნაჯღაბნიაო, — დაუღრიალა ლომ-მა.


წელმოწყვეტილი და გულდაწყვეტი-ლი ბაჭია მარწყვიჭამია უკან გამობრუნდა და ისევ ბაჩუა დათვს ეახლა. ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა.

— მოუტყუებინარ იმ ცბიერ კუდიგარ-ძელიას, ჩემი დაწერილი ბარათი თავის-თან დაუტოვებია, შენთვის კი ნაჯღაბნი შემოუჩეჩებიაო. ამაღამ ჩვენთან დარჩი, გაკმევ, გასმევ, მოგასვენებ, სვალ დილით წავალთ და ყველაფერს ავუხსნი ჯაყჯაყ-ლომს, მაგრამ წერა-კითხვა თუ არ იცოდი, ვერა თქვიო?!

— ეეჰ, რა მეგონა მე სულელს, ასე საჭირო თუ იყო! დედიკო რომ სპილოსთან სასწავლებლად მგზავნიდა, ხან მარწყვზე ვიპარებოდი, ხან — სტაფილოზე და ახია ჩემზეო, — თქვა ბაჭიამ და გამოეღვიძა.

თურმე მარწყვიჭამია ბაჭიას სიხმარში უნახავს ეს ყველაფერი, მაგრამ, ბავშვე-ბო, თუ ახლავე არ მიუჯდა ანბანს, ხომ შე-იძლება აუხდეს?..

ՅՈՒՄՈՐ ԵՎ ԵՅՆԵՅՆ



ՅՈՒՄՈՐԱԿՐՈՒՄ ԵՎ ԵՅՆԵՅՆ

ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ-ՈՒՅԻՆ ԲԱՅՐ ԿՐԹՅՈՒՆ
(1800 ԼԵՆ ԵՎՈՒՄ)



შუშანა გებელია — 70



ბავშვებო, ცნობილ საბავშვო პოეტს შუშანა მგელაძეს 70 წელი უმუსრულდა.

თქვენ გულით შეიყვართ მისი ლექსები, რომლებიც მამულის სიყვარულს, სიკეთეს, სილამაზეს, ბუნებას უმღერიათ. ბუნების მშვენიერებას ხომ ყველასათვის სიხარული მოაქვს. აბა დაუგდეთ ყური ტყის ჩიტუნების ჭიკჭიკს, ან ნაწ ნიავს მოუსმინეთ, თვალციმციმა იებსა და მთის კალთებზე მომღიმარ გვირილებს რომ ეაღერებდა, ან მოუსვენარ შშის სხივს, გაწაფუხლის მოხვლას სიცილით რომ გვახარებს:

„უაუაჩოსაც გაუღიმა,
მეუ სიცილად დაიდგარა
მორცხვად თავი დახარა,
გაწაფუხლი გვახარა“

ბავშვებო, პოეტის ლექსები ბევრ სასიკეთო რჩევას მოგცემთ, გასწავლით, როგორ უნდა გიყვარდეთ სამშობლო, დედა ენა, ტომ-მეგობრები...

მოდით ახლა ერთად მივულოცოთ პოეტს დაბადების დღე და ვუსურვოთ დიდხანს სიცოცხლე, ჭანმრთელობა და სიხარული.

მერიკელს დარდი

ბურთს თამაშობს ანას კნუტი,
თეთრი, როგორც ბატისუტი.
გამობრმანდენს სასეიონოდ
წიწილა და ბატის ჭკუი.
დაუარეს ბაღს და უანებს,
იწივლეს და იუაუანეს,
ბროლია ეფეხს მუხის ძირას:
— ნუ სმაურობთ, ჩემს ლეკვს სმინავს!



სამი ბული და ბასალა

ულრან ტუქში ჩაიშალა
მწის სხივების ოქროს მწა,
ააცეკვა სამი ბული,
სამი გოლიათი მწა.
— რა გაცეკვებთ დათუნებო?!
ჩამოხმანხა ბახალამ,
— შენ რა, ბრმა ხარ? მწის სხივებმა
გაწაფუხლი გვახარა.

მხატვარი ელზარ აბოკაძე

ბასპოკება თევზთას

ნოღარ ზაზანაჰა

თვალციმციმა ციმორთ,
გიუკანს მტკვარინც, იორინც...
თურმე შენი დჭკნა
არ ეოფილა იოლი.

ღორჯო, ღორჯო,
ერთო გოჯო,
წუალში ხანხარ
როგორც ჯოჯო.

მიოხარ, მურწავ,
ზირს რომ მურწავ,
წუალს როგორ სვამ,
როგორ ეღურწავ?

გუბე ამბობს,
ჭა ვარო,
შენ რას იტყვი,
ჭანარო?

ორგულო, ორგულო,
მინდა წუალში მოგაურთო:




ვის ერთგულობ, ვის ორგულობ,
რიეის ქვებით მორავგულო?

გოდორეური დავიდგეს
და შენი გზა მოჭრილა,
ვაი, მივითყუებენ,
დავითყერენ, ქორჭილა!

ლიფსიტების მღვვართო,
დამენახვე, კეფალო,
ამღურეული ზღვის ტალღებს
სანამ უნდა ეფარო?

კანარჭინა ქებულო,
დანანში თავშერგულო,
რაც არ უნდა მემალთ,
სად ხარ, მაინც ვკებულობ.

ტანსატულო კალმასო,
უმომრად არ გნახო!
ზირველი ხარ, მურდამ
ზირველობა დავრჩეს,
შეაფრინდი ხანსქერს,
გაბბრწვიენ მხეხე,
ვარსკვლავები ფანტე
მხელად სავალ გზებზე.



ბებია

ბებია ამომურავარდნილ თონეს წყალში ასორხდილი ნაცარი მთავარა და ხელი მიუშვირა, განვლდა თუ არაო. ნაცარი ღუღღღა, მწველ ნაკვერჩხლებს გადღეფარა და მართლა სიმურავაღუ დაუკურა; ბებია ამ ნაცარიან ხელედი წყლიან ვედროში ჩაიბანა და ვარცხლში ამოფუებულ ცოხს სათბილბუბელი გადახადა. გუნდა ამოიღო, ფქვილით გადათეთრებული ვარცხლის თავზე დადო, ჯერ გადაგორ-გადმთავორა, კიტრივით დააგრძელა, ახლა თითებით გაწეღა, გამოწეღა და თხლამ, თონის პირს მიაკრა. მერე მფორე გუნდაც ამოიღო ვარცხლიდან, მესამეც... თონე თანდათან იცხებოდა თეთრი შთიებით, გამომცხვარი პურის სუნი დატრიალდა ჰაერში.

პურის ცხობით გართულ ბებიას ბავშვების ხმაშეწყობილი სიმღერა მოეხმა:

ჩვენო კარგო ბებია,
გამოვეიცხვე კვერია.



მოხებდა მოხუცმა და ნახაიმოვნები დარჩა. ეზოში მისი შვილიშვილები ბესო და მალხაზი შემოსულიყვნენ, ტყვიან ფიხის კონები მოეტანათ და დაზურგულები მღეროდნენ, თან ბებიას უცინოდნენ.

— თქვენა ხართ, გენაცვალო, ახლავე, ქა, ახლავე, სათონე ფიხს მიზიდავთ და კვერს არ გამოგიცხობთ!?

მებმა ფიხის კონები ძირს დაყარეს. მოხუცმა ცოხის გუნდა საფანელში გადაზიდა, მრგვლად გააბრტყელა, ასტამით გული ჯვარედინად გადაუჭრა, ცოხის კუთხეები ნაპირისაკენ გადაკეცა, გულში ორი თითი ჩაყო, დაატრიალა და დაამრგვალა, მერე ხელის გულზე ფრთხილად დაიდო, რომ თონეში ჩაეკრა.

ვიდრე კვერთები გამოცხვებოდა, ბიჭებმა ფიხის კონებს წალდით წწელები შეაწყვიტეს, კუნძზე დაკუნწეს და დააწყეს. კიდევ აი რა გააკეთეს: დოქი აიღეს და წყაროზე გაიქცნენ, ბებოს არ მოგვიწვურდნო, არ დავეიცხნო, გული გაიგრილოსო, — ცივ-ცივი წყალი მოურბენინეს.

...სოფლის ორღობეში მძებს ხელზე წამოცმული კვერთები მიჰქონდათ და მიიმღეროდნენ:

ჩვენა კარგა ბებია
გამოვეიცხო კვერია.

ოლა ვაჟასიანი

საწოვრიან ქილათი
დასდევს ციკნებს ქეთინო,
— დამიცადეთ, ცელქებო,
სული მოგათქმევინათ.
სულ რომ დანტით, კუნტრუმებთ,
სულ რომ სადღაც იქარით,
ზას გვეოფათ სამთავს
დედის ერთი ჯიქანი?..
ამ საფხულზე თუ გინდათ
გაჭუვეთ მთაში ცხვრის ფარას,
ეს ძროხის რძე მიირთვით —
გინილადათ წიქარამ.



სოფლისაგან


მიიღია მაისი,
სათიბები ჩალურჯდა,
წითლად ეგვის ეუახო,
მწიფს ბალი და ალუხა.
შარას ადვას „ჟიგული“,
გზად ალღების რიგია.
ეველა გზები სოფლისკენ,
ბებეკოსთან მიდიან.

სულხან აბდლაჰაძე

კარის მეზობლების
მოკვივებით ამბავს, —
ერთ ბიჭს ჰქვია დათო
და მეორეს ჯაბა.
მწვანე ორდობემი,
მათ სანლებს რომ ეკვრის,
ადრე, სისხამ დილით,
გამერა ჯაბას ლეკვი.
ჯერ იყო და გაჰყვა
ვენახისკენ ნახნავს
და მარანთან ახლოს
რბადაც ქილა ნახა.
ქილას ერთი ბეწო
თაფლი ფსკერზე ეცხო,



და საწვავი ლეკვი
მოთმინებას კარგავს,
ვერ იქნა და ენით
ვერ მოლოკა კარგად.
და მიაწვა ქილას,
კი, მიაწვა, მავრამ —
შიგ ბომბორა თავით
გაეკვეს მავრად.
ბევრს ეწვალა, თუმიცა
რას იხამდა აბა,
ამ სმაურსე უცებ
გაიღვიბა ჯაბამ.
მოიკითხა ლეკვი,
ლამის გახდეს ცუდად.
— ხმა გამეცი, სად ხარ?



ცუბა, ცუბა, ცუბა!
ბოლოს, როცა ნახა,
დრო არ იყო ოხვრის,
ქილის გასატყნად
მოიტანა ჯოხი.
სასწავლად ამ დროს
მასთან გახნდა დათო;
— რას სხადისარ, ჯაბა,
მეზობელო, ფრთხილად,
ნებას როგორ მოგვემ
დამიღეწო ქილა.
— ნუთუ, დავიჯერო,
მართლა უარს მეტყევი,
ვინ დამიძლის ახლა





შვლის ნუკრი

ალექსი არაბული

მაისის შუარიცხვები იყო. ერთ დღიას, სოფლის განაპირა ტყესთან საძოვარზე მყოფ ბატყებში პატარა, თეთრწინწკლებიანი ცხოველი გამოერია. ისეთი პატარა იყო, რომ სიარული უჭირდა. ნინიკო ფრთხილად მიუახლოვდა, დაიჭირა, მოფეკრა და გულში ჩაიხუტა. უსუსურმა არსებამ შრუნველობა რომ იგრძნო, მშვიდად შეხედა შავი, ლამაზი თვალებით და ნებივრად მოიკალათა გოგონას კალთაში.

ნინიკოს გაახსენდა, შარშან გაზაფხულზე მისმა მეზობელმა მეტყვევებ ირმის ნუკრი რომ დაიჭირა და შვლისა ეკონა. ნეტავ ეს ირმისაა თუ შვლისაო, — გაფიქრა.

სოფელშიც ზოგმა უთხრა, ირემლადის ნუკრიაო, ზოგმა — შვლისაო, სანამლეოც კი დადეს, და გადაწყვიტეს, გასარკვევად ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელისათვის ეჩვენებინათ.

მასწავლებელმა მოსწავლეებს თავი მოუყარა და აუხსნა, შველი და ირემი ერთი ოჯახის წევრები არიან და ახალდაბადებულები ძალიან პევანან ერთმანეთს, ზურგი ორივეს თეთრი ხალებით აქვს მოქარგულიო. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ერთმანეთისაგან სწორედ ამ ხალებით შეიძლება განვასხვავოთ — შვლის ნუკრს ზურგზე ხალები სამ მწკრივად, ზოლებივით აქვს გაწყობილი, ხოლო ირმის ნუკრს — უწყრივად გაბნეულიო.


ხალიანობა თვით ბუნებამ უწყალობა თავდასაცავად უსუსურ პატარებს, რომ ბალახებსა

და ყვავილნარს შეხამებული იყვნენ, მათ ხელმძღვანელ მრავალი მტერი ჰყავთ. ახლად დაბადებულ ნუკრს დედები მაღალ ბალახში მალავენ. თვითონ კი შორიახლოდან უთვალთვალენ. საშიშროების დროს დედა პირველად თვითონ დაენახვება მტერს — წინ გადაუბრუნს, რომ მტაცებელი მას გამოევიდოს. ზოგჯერ პატარების გადარჩენა დედას საკუთარ სიცოცხლედაც უჯდება. უღედოდ დარჩენილი პატარები ან სხვა ცხოველებს მიეკვლელებიან, ანდა იღუპებიან.


პირველ ხანებში დედა თვითონ მიდის დამალულ ნუკრთან და მუქუს აწოვებს, შემდეგ ისევ მალავს და შორდება. ერთი კვირის შემდეგ ნუკრი დედის ნიშანზე თვითონ მიიბრუნს ხოლმე მასთან. მაგრამ ერთ თვეს დედას ნუკრი ღია ადგილებში არ გაჰყავს. ნუკრიც გამოკონა, მხოლოდ ზოგიერთი თავკერძა არღვევს ამ წესს, უღედოდ იწყებს ხეტიალს და ეკარგება დედას. დედა ძალიან ნადვლობს შვილის დაკარგვას. მართალია, შველს ხშირად ორი ნუკრი ჰყავს და ცალ-ცალკე, ერთმანეთის დამორებით მალავს მათ, მაგრამ დაკარგულ შვილს მაინც მონიკა-ლისებს ხოლმე.

მასწავლებელმა ისიც უთხრა ბავშვებს, რომ შვლის ნუკრი აღამიანს მალე ეჩვევა, განსაკუთრებით ბავშვებთან ყოფნა და თამაში უყვარს. მაგრამ დიდხანს ვერ ცოცხლობს, მალე და მოულოდნელად იღუპება, ბუნებაში კი თხუთმეტ წლამდე ცოცხლობს. ამიტომ უმჯობესია დედასთან იყოს.

ნინიკომ ბვერი იფიქრა და მეორე დღესვე მიიყვანა ნუკრი იმ ადგილზე, სადაც დაიჭირა, უკანასკნელად ჩაიხუტა გულში და გაუშვა...



მსატყარი ბიოგრი რონინიშილი



ხალხური

გამოსუკ




ერთი რამ არის უჩინო,
 უსულთა და ხშიანი,
 ცახსა და ხმელეთს მოივლის,
 რომ მოუხდება ტრიადი,
 იძახს ვურავენ დაიჭკრს,
 თუნდა დაადგეს სმლიანი.



ანა



თავსაჯახი



შორენა ზუმაბაძე
 სოფელი ბორითი.

ეს უჯრედები შეაკვები ვეჯივლებს სახელუბით იხე, რომ წითელ სფერში მიიღოთ ამერიკელი მშვიდილობისმოყვარე გოგონას სახელი — სამანტა სმიტი!

წიკუ

სამბრძენებს ალკკ ცკ-ისა და პ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს შურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან
 საქ. კ. ცკ-ის გამოცემლითა.

მთავარი რედაქტორი
პეპერ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: მუშარდ ამო-
 ხაძე, მანანა ანთაძე, ლეონარ ბაბუა,
 სოსო გომიგორაძე, მერი ღვინია-
 შვიდი, სოლომონ დვინაძე, ლეონარ
 ლეონარაძე, გელა ლოსაძე, გეგეკა
 გეგეკაძე, გიორგი გომიგორაძე, ნა-
 ხატრო რედაქტორი, თინათი ნაღვლიანი
 (პ. მ. მღვიმანი), გიორგი მანაძე, გიორგი
 გომიგორაძე.

ტექნიკური რედაქტორი
პენი ვარკეთილი

მისამართი: რედაქციის გამოცემლითის,
 სტამბის-თბილისი, ლენინის 14. ტელ:
 ში. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15;
 პ. მ. მღვიმანი 93-10-32, 93-98-18; საფხ.
 რედაქტორის 93-98-18; განყოფილებუ-
 მის 93-98-19.

გადაეცა სახეობად 8.04.88 წ., ხელმო-
 წერილი დასაბუჯად 9.06.88 წ., ქალა-
 ლის ზომა 60x90, ფიზ. ნაბ. ფურც.
 2,5 ტირაჟი 168.000, უკვეთა №953

ვდახე ნახატი
მუშარდ ამოხაძისა

«Дила» («Утро») ежемесячный жур-
 нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
 Республиканского Совета Всесоюзной
 пионерской организации им В. И.
 Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нишарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.


Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №953

გოგნი ქვლივიკა



ნინო ხუციშვილი, 4 წლისა.

დათო ჭკადუა



**„ქიქის“
სამართლმად
ქვეყნის**